საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2023 წლის 24 თებერვალი

ქ. საჩხერე

,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 04/01/2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.130.016262.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებული მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შეიმუშავებს, კომისიის სხდომაზე განიხილავს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის დებულებას;“.

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის სამუშაო გეგმებს. უზრუნველყოფს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გაგა დარბაიძე**